№ 195. სექტემბრის 8, შაბათი. 1866—1884 სექტემბრის 8, შაბათი. № 195.

„დროების“ რედაქცია—სიმონსონის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან.

ხელის მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაში; ქუთაისში, ქილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მხელმოწერთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ Редакцію „Дроеба“.

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე რვა კაპ; განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზე.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

## „დროების“ ფასი სექტემბრის 1-დამ წლის დამლევამდე 4 მანათი.

დღესასწაულის გამო ხვალ კვირას ნომერი არ გამოვა.

თექვსმეტს ამ ენკენისთვეს არის დანიშნული

კრება გორის მაზრის მომხმარებელთა საზოგადოებისა

მოსასმენლად ამ საზოგადოების გამგეობის წევრების პასუხისა იმათ მოქმედების და ანგარიშთა გამსინჯველ კომისიის წევრების მოხსენებაზე, და ახალი გამგეობის და რჩევის წევრების ამოსარჩევად. (3—1)

## საშინაო ამბები.

ᲡᲐᲒᲣᲚᲘᲡ-ᲮᲛᲘᲔᲠᲝ ᲤᲐᲥᲢᲘ.

თბილისი, სექტემბრის 8-ს.

დღეს ჩვენს გაზეთში, ქრონიკის განყოფილებაში, სულ ოთხს სტრიქონში მოქცეულია გარემოება, რომელიც ისე საყურადღებოდ მიგვაჩნია, რომ არ შეგვიძლიან ამ გარემოების შესახებ ორიოდე სიტყვა არა ვსთქვათ. ვისაც ჭკუა თვალებში აქვს და თავის დღეში არ დაჰფიქრებია არც ერთს საზოგადოებრივს მოვლენას, ის ამ გარემოებასაც ახალ ამბად ჩასთვლის, იმ საქრონიკო ცნობად, რომელიც უსაქმურთა ვითომ თავის გასართობლად იბეჭდება. მაგრამ ვინც ცხოვრებას აკვირდება, თვალს ადევნებს ჩვენს მდგომარეობას, მისთვის ეს, ერთის შეხედვით, მცირე ამბავი, მარტივად მოთხრობილი გარემოება ფრიად საგულისხმიეროდ ჩაითვლება და მის გულსა და გონებას უფრო მეტს აგონებს და აგრძნობინებს, ვიდრე თვით საგანგებოდ სამჭევრმეტყველო სიტყვა, წყობილად წარმოთქმული და მედგარის ლოგიკით დაკავშირებული.

მეტი ღვთის-რისხვა იქნება, რომ იმ ქვეყანაში, სადაც ათობით და ოცობით სასწავლებელნი არიან დაარსებულნი, რომლებშიაც ასობით და ორასობით სწავლობენ ჩვენი მოზარდი ყმაწვილ-ქალობა, სანთლით უნდა ეძებო ქართულის ენის მცოდნე მასწავლებელი ქალი პირველ-დაწყებითი სკოლისათვის. ჩვენ ვნახეთ წერილი, მოწერილი დუშეთიდამ ერთის ჩვენის ნაცნობისადმი, რომლითაც სთხოვდენ, ეხვეწებოდენ მას, იქნებ როგორმე მოიკითხოთ და მოგვწეროთ, მასწავლებლობას თუ იკისრებს ვინმეო. ამასთანავე, თქვენც კარგად მოგეხსენებათ, რომ ამ გვარმა ქართველმა ქალმა უნდა რიგიანად იცოდეს ქართული ენაო.

ჩვენი ნაცნობი სწორედ ტრაგიკულს მდგომარეობაში იყო ჩავარდნილი. თავისი მეხსიერება სრულიად მოლალა, იფიქრა, იგონა, ეძება და მთელს ქალაქში ერთი ქართველი ქალი არ აღმოჩნდა ქართული ენის მცოდნე, რომ ეტვირთნა მასწავლებლობა სამაზრო ქალაქში, მოეკიდნა ხელი იმ პატიოსანის შრომისათვის,—მოზარდი თაობის გონებრივი და ზნეობრივი აღზრდისათვის,—რომელიც ასე ეხერხებათ ქალებს ევროპის განათლებულ ქვეყნებში.

მართლაც, რა შედარება უნდა იყოს ამ მხრივ მამა-კაცისა და დედა-კაცის შორის. ქალი ბუნებით ბევრად უფრო ნაზი, ძლიერის აღზრდის ინსტინქტით და მეტის კაცთ-მოყვარეობით შემკული, უპირველესი და ბუნებრივი მასწავლებელი და აღმზრდელი უნდა იყოს მოზარდი თაობისა. იგი უნდა თავის განსაკუთრებულ ხელობად ჰსახავდეს აღზრდას, ხელმძღვანელობას, სწავლებას არა თუ მხოლოდ მაშინ, როცა ზრდის ბავშვს, იჩენს მის ხორციელს არსებაზედ ზრუნვას და უნერგავს პირველ-დასაწყისს ნასახებს აზრისას, გრძნობისას, არამედ მაშინაც, როცა ყმაწვილი უკვე დასრულებულია წლოვანობით, დიდს ზრუნვასთან გონების განვითარების შესახებ, არა ნაკლებ ზრუნვასა და ხელმძღვანელობას ჰსაჭიროებს ხასიათისა და გრძნობათა აღსაზრდელად, სადისციპლინოდ.

აღზრდა და სწავლება არც ძველად ეუცხოვებოდა ჩვენს ქალს. ისე რომ ჩვენი წარსული და მისი გარდმოცემანი, ტრადიციები, სრულიად არ ეწინააღმდეგებიან ამ აზრს დედა-კაცის დანიშნულებისა და მოწოდებისას საზოგადოებრივ ცხოვრების ასპარეზზედ. პირ იქით, მაშინ, როგორც ამტკიცებენ ამ საქმის მცოდნენი, ჩვენი წარსულის შემსწავლელნი, განსაკუთრებით ქალებს ჰქონიათ ხელში ჩავარდნილი აღზრდისა და სწავლების საქმე.

და აი იმ დროს, როცა სწავლა-განათლების საქმე, აღზრდის ხელოვნება ქალების ხელთ გადადის ევროპასა და ამერიკაში, როცა ქალია აღიარებული საუკეთესო და ბუნებრივ პედაგოგად, ჩვენში არა თუ სავაჟო სასწავლებელთათვის, არამედ ორიოდ საქალებო სკოლებისათვისაც ვერ მოგვიპოვებია ქალი — მასწავლებელი, ვერ მოგვიპოვებია არა თუ მარტო სოფლისთვის სამაზრო ქალაქისათვისაც, სადაც ცხოვრება უფრო მეტად მოხერხებულ პირობათა შორის სწარმოებს, ვიდრე რომელსამე მიყრუებულ სოფელში და მივარდნილს მხარეს.

«დროების» ფელეტონი, სექტ. 8-ს.

ᲡᲐᲙᲕᲘᲠᲐᲝ ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ.

რისთვის ავჩქარდით.—საკვირველი აღმოჩინება მეცნიერებაში.—მისი მაგალითი ინდოეთში.—ვითომ ამით აიხსნება?—„მწყემსის“ განცხადებამ გვაჯობა.—აფერუმ „მწყემსის“ ოხუნჯებო.—„ჩვენ თავის დროზე ვრეკავთ და თუ არავინ მოვა, ძალით ხომ ვერავის მოვიყვანთ“.—ჭკუა-სუსტი სტაროსტა და გონება-მახვილი მოძღვარი.—განცხადებანი.

ხელ-ბედნიერმა კალენდარმა ინება, რომ ორი დღე ზედი-ზედ უქმე ერჩუქებინა ჩვენთვის. ჩვენ ამ გულუხვობისათვის მდაბლად თავი უნდა დაგვეკრა, აგვეკალთავებინა და ორი დღით სადმე სასეირნოდ სოფლად გავმგზავრებულიყავით; — მერე კარზე ასეთი ლამაზი შემოდგომა დგას და შრომით შეწუხებულს ხალხს ქალაქ გარედ დასასვენებლად იწვევს! კვირის ნომერი ხომ აგვცდა და საკვირაო ფელეტონსაც ამ გზით ადვილად ავიცდენდით. მაგრამ ეს უკანასკნელი ცოდვა ველარ ვიკისრეთ ჩვენს თავზედ, მით უფრო, რომ მკითხველებისთვის ზოგი ერთი რამ ფრიად საყურადღებო გვაქვს შესატყობინებელი.

ეს არის ეხლა ამოვიკითხეთ, რომ შესანიშნავი მეცნიერების—ფსიხოლოგიის — გამომკვლეველთ საკვირველი მოვლენა აღმოუჩენიათ. არიან თურმე იმისთანა სულიერი ავადმყოფები, რომელთაც ხანდისხან მეტის-მეტად ღრმა და ხანგრძლივი ძილი ემართებათ. პირველი ძილის შემდეგ, რომელიც ხშირად თვეზე მეტს გასტანს, იგინი ჰკარგვენ ყოველსავე ცნობიერებას, რაც კი ძილამდე შეუძენიათ; ველარავისა ცნობულობენ, აღარ იციან არც წერა, არც კითხვა, ავიწყდებათ ის ენები, რომელნიც უწინ შესწავლილი ჰქონდათ, ერთის სიტყვით—მათი მდგომარეობა მოგვაგონებს მდგომარეობას ახლად დაბადებულის ბავშვისას, რომელმაც ყოველივე ცნობა ახლად უნდა შეიძინოს. რამდენიმე ხნის შემდეგ ავადმყოფი კვალად იძინებს იმგვარივე ღრმა ძილით და გაღვიძების შემდეგ ივიწყებს ყოველსავე, რაც პირველისა და მეორე ძილის შორის შეუგნია და იგონებს იმას, რაც პირველს ძილამდე სცოდნია. მაგალითად, იგი ცნობულობს კარგად პირველ ძილამდე ნახულ ნაცნობებს და სრულიად ვერა ცნობულობს იმათ, ვინც პირველისა და მეორე ძილის შორის, სიფხიზლის დროს, გაუცვნია.

ამისთანა მოვლენას მეცნიერებაში პიროვნების გაორპირება ჰქვიან.

როგორც მოგეხსენებათ, ეხლანდელ მეცნიერებს ერთი სენი შეეპარათ: რაც კი რამ აღმოჩნდება ბუნების მეცნიერებაში, უეჭველად უნდა საზოგადოების ცხოვრებაზედ გადაიტანონ და მითი ახსნან მსგავსი რამ მოვლენა, თუნდა ამ საზოგადო მოვლენას მხოლოდ შორეული მსგავსება ჰქონდეს ბუნების მოვლენასთან. აი, მაგალითად, ერთს ინგლისელს მწერალს სერ სიუკეგზეის ზემოხსენებული ბუნებრივი მოვლენა როგორ დაუდარებია საზოგადო მოვლინებასთან: «პიროვნების გაორპირებას სულიერად, როგორც ზემოდ იყო აღწერილი, ძალიან წააგავს ზნეობრივი გაორპირება. მაგალითისათვის მოვიყვან შემდეგს ამბავს, ამბობს იგი. ინდოეთის პროვინცია პენჯაბში იყო ერთი ახალ-გაზრდა ნაბაბი, რომლისაც ყმაწვილობაში ყველას დიდი იმედი ჰქონდა. თავის ქვეყანას იგი შესტროფოდა და თითქო გულით ყველას ბედნიერება სწადდა. მისი დევიზი იყო: „სიყვარულით მოიგე გული შენის მეზობლების და თანამემამულეებისაო“. ამ თვისებისათვის იქაურმა ნაბაბებმა იგი თავიანთ წინამძღოლად ამოირჩიეს. წინამძღოლობაშიაც მას თითქო ყოველი კეთილი საქმისათვის გული ერჩოდა და ყველას ისე ეკიდებოდა, როგორც ძმას და ნათესავს.

იქაურმა რაჯიმ მოინდომა ამისთანა ყველას საყვარელი კაცის დასაკუთრება და თავის თანაშემწედ დანიშნა. ეს იყო და ეს... აქედამ იწყობა ჩვენის ნაბაბის გაორპირება (ორ-პირობა არ გეგონოთ). ალბად რაჯის თანაშემწედ დანიშვნის წინად ამ ცვლილებისათვის საჭირო ღრმა ძილი გამოიარა.

როგორც უნდა იყოს, ჩვენი ნაბაბი ამ დღიდამ ძირეულად შეიცვალა; აღარ აგონდებოდა არც ერთი წინასწარი შთაბეჭდილება. მეგობრები მტრად მოიკიდა, მტრები—მეგობრად; სრულიად გადაავიწყდა ის მოჰიკჰიკე ენა, რომლითაც უწინ ყველას გულს იგებდა; სიყვარულის მაგივრად მოინდომა თავის პროვინციის მათრახითა და ბამბუკის ჯოხებით მართვა. თვისი ნი უწინდელნი ამორჩეულნი, რომელნიც ერთ დროს მას ხელით ცაში ისვროდენ, რაჯის ქურდებად და ავაზაკებად დაუსახელა, მისაგებებლად წინ ჩამოუმწკრივა და რაჯის უნებურად ათქმევინა, ეს ერთი კი მიპატიებია და თუ კიდევ გაბედეთ, ისეთ ალაგას

ჩვენის ნაცნობის გაჭირვებული მდგომარეობა ამის შემდეგ ადვილი მისახვედრია. მისი წუხილ-კრულვა, მისი შფოთი ამ გარემოების გამო უნდა დაალონებდეს დაააშფოთებდეს არა ერთს და ორს ნამდვილ ქვეყნის გულ-შემატკივარს, ნამდვილს მამულის-შვილს.

აი მართლა რომ საგულის-ხმიერო ფაქტი ჩვენის ცხოვრებისა, რომელზედაც ვალი აქვს დაფიქრდეს ყველა, ვისაც ფერფლ ქვეშ მაინც კიდევ უღვივის გულში ცოტაოდენი სიყვარული თავის ქვეყნისა.

რა მიზეზებით არის გამოწვეული ამ გვარი ფაქტი, ან ვისი ბრალია, რომ ქართულის ენის მცოდნე განათლებული მასწავლებელი ქალები არა გვყავს, ამის განმარტებას ჩვენ ახლა არ გამოვუდგებით და ან კი რა საჭიროა, როდესაც უკომენტარიოდ და განუმარტებლადაც ფაქტი ასე ხმამაღლად თვით ლაპარაკობს თავის მნიშვნელობასა და ვითარების შესახებ.

---

## შინაური ქრონიკა.

═ რედაქციაში მოგვივიდა «დედანი» ქართულის წერისათვის, შედგენილი Ი. გოგებაშვილისაგან. სამიოთხი წელიწადი იქნება, რაც ავტორი ამ «დედნის» შედგენის ზრუნვაში იყო. Ადგილობრივნი გარემოებანი, როგორც ვიცით, ხელს არ უწყობენ კაცს ამ გვარი შრომა, — ადვილად, სუფთად და ხეირიანად დაბეჭდოს. მიუხედავად ამისა, დედანი დაიბეჭდა და სუფთადაც დაიბეჭდა. შინაარსის შესახებ უნდა ვსთქვათ, რომ იგი ძალიან ვრცელი და საკმაოდ მდიდარია. შეიცავს სრულს კურსს ქართულის წერის სწავლებისას. მასალა დაწყობილია ერთის განსაზღვრულის პლანით და პედაგოგიური მოთხოვნილებანი სახეში მიღებულნი არიან. სურათები ძალიან ბლომად აქვს ჩართული. ბადე, რომელშიაც ასოებია ჩამსხდარი, იმითი განირჩევა ბაბიჩევაძისმიერ შედგენილის ბადისაგან, რომ პირველში ექვსი ხაზია, ხოლო მეორეში — ოთხი. Ასოების მოყვანილობა თუმცა ისე მოხდენილი არ არის, როგორც შეეფერებოდა კალიგრაფიას, მაგრამ, სამაგიეროდ, თვით წერის კანონები, საზოგადოდ რომ ვსთქვათ, დაცულია: ასო ბუნებრივად და მარტივად დაიწერება და არა დაიხატება ამ დედნის შემწეობით. Ერთი ახალი შემოღება, მიღებული ბ. გოგებაშვილისაგან, რომელიც არც ა. ჯულელის დედანში და არც ბაბიჩევაძისაში არა ყოფილა გახლავთ მშვენიერის ხელით დაწერილის ძველის ეწიგნბიდამ ამოღებული ნაწყვეტები, ჩართულნი დედნის ბოლოში მთელს 4 გვერდზედ. Ეს კალიგრაფიულის წერის ნიმუშები სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენენ კაცზე და თვით ნაშრომს აძლევენ დარბაისელი და არა იაფად დამჯდარის ნაღვაწისა ხასიათს.

Ფასი ძალიან იაფია: 24 გვერდისაგან შემდგარი რვეული ღირს სულ 30 კაპ.

Ორიოდ-სამი ნაკლულევანება, რომელიც ჩვენ ამ იღნავ გადათვალიერების დროს შევნიშნეთ, არის შემდეგი: წერის კანონისამებრ ასოთა მოხაზულობა ყველგან არ არის დაცული მტკიცედ და ზოგი ასო დახატულია და არა დაწერილი. მასალა და სურათები ისეა ჭრელსავით ზედ-მიყრილი, რომ თვალი უჭრელდება კაცს მთელ ათს გვერდზედ ერთგვარად გაბმულის მასალისაგან. Თვით ნიმუშებიც ერთი ერთმანეთისაგან არ არიან განცალკევებულნი. Იქნებ ეს იმ მოსაზრებას გამოუწვევია, რომ ხარჯი ისეც დიდი, კიდევ არ გაზევრებულიყო და ძვირად არ დამჯდარიყო ჩვენი ღარიბი ხალხისა და ქვეყნისათვის თითოეული მისი ეგზემპლიარი, მაგრამ ამ მოსაზრებას არც ისე დიდი მნიშვნელობა უნდა მისცემოდა იმ გვარ შრომაში, სადაც სიცხადე, თვალ-და-თვალობა, სისუფთავე და სილამაზე ფრიად დიდს საზრუნავს საგანს უნდა შეადგენდეს.

═ ჩვენ შევიტყეთ, რომ Დუშეთის საქველ-მოქმედო საქალებო სკოლისათვის გამწარებულნი დაეძებენ ქართულის ენის მცოდნე მასწავლებელ — ქალს და აქამომდე ვერ უპოვიათ. Ყოველმა ცდამ ამ სკოლის გამგებელთა ლამის უქმად ჩაიაროს და ცოტაოდნად რიგიანი ქართული ენის მცოდნე მასწავლებელი ვერ იშოვონ.

═ ჩვენ შევიტყეთ, რომ ერთს ძველის მწერლობის მოყვარულს პირს უთხოვნია ჩვენის პატივცემულის ისტორიკოსისთვის, ბ. Დ. ბაქრაძისათვის, მიიღოს თავის თავზედ შრომა და დაბეჭდოს იმის ხარჯზედ ის ძველი «ქართლის ცხოვრება», რომელიც ბ. ბაქრაძემ იპოვა ამას წინად და რომელიც დიდად განსხვავდება ბროსესმიერ დაბეჭდილისაგან. Დაუღალავი მშრომელი, ბ. ბაქრაძე არც ამ საქმეს დაზარებია და ამ წიგნის რედაქტორობაზედ თანხმობა გამოუცხადებია. Თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ „ქართლის-ცხოვრება“ — ეს ერთად-ერთი ჩვენი მატიანე და საფუძველი ისტორიისა, თითქმის ბიბლიოგრაფიულ განძად გადაქცეულა, ძალიან ძვირად ჰღირს და თუ არ პეტერბურგის სამეცნიერო აკადემიაში, არსად არ იშოვება, ხოლო იქაც ძვირადა ჰღირს (ორთავე ტომი 7 მანათამდე), უნდა ვსთქვათ, რომ მისი ხელ მეორედ დაბეჭდვა დიდად სასარგებლო იქნება. Ამას გარდა, ბროსესაგან დაბეჭდილი ქართლის-ცხოვრების 1 ტომი და ჩუბინოვის მეორე ტომიც სამწუხაროდ სრულიად მოკლებულია საჭირო კომენტარიებსა და მეცნიერულ განმარტებას სხვა-და-სხვა ან საეჭვო და ან ბნელის ადგილებისას; ამისათვის უფრო მეტის სიამოვნებით მივეგებებით ამ ამბავს. Დარწმუნებულნი ვართ, რომ ჩვენის მსწავლულის რედაქტორობით დაბეჭდილი მატიანე ერთი-ორად და სამად სასარგებლო შეიქნება. Ყველამ კარგად იცის, რომ მატიანეს კითხვას, მოხმარებას და გამოყენებას მხოლოდ მაშინ შეიძლებს მკითხველი, როდესაც იგი დაბეჭდილია მეცნიერის კაცისაგან, როცა ახსნილია და განმარტებული ყოველი ძნელი ადგილი მისი, ყოველი საეჭვო ფაქტი, ახსნილია თვით ხერხი მისი კითხვისა, მისი მოხმარებისა, როცა თითოეულის ხანის და ისტორიულის პირისა და ფაქტის შესახებ შემოკრებილია ტექსტ ქვეშ დაბეჭდილ შენიშვნებში უცხო მწერალთა ცნობანი, მატიანეთა თქმულობანი და სხვ.-და-სხვ.

---

გაგზავნით, სადაც მაკარიიდამ ხზოებსაც კი არ ჰგზავნიდენ გასაყიდადაო. ბოლოს, ამ ერთ დროს საყვარელი კაცის თავის დამცირება იქამდის მივიდა, რომ რაჯის უმდაბლესად მოახსენა, თუ ამა და ამ ჩემის მოპირდაპირის წინააღმდეგ თქვენს ნებასა და სურვილს არ იხმართ და მაკარიის ხზოებს მწყემსად არ დაუნიშნავთ, მე ჩემდამი მინდობილის პროვინციის მშვიდობიანობას ვერ დავიცავო.»

„რითი აიხსნება ესეთი დამცირება და ზნეობითი დაცემა, თუ არ ზნეობრივი გაორპირებით?“ ამბობს ბოლოს ხსენებული ავტორი.

ჩვენ გვგონია, რომ პატივცემული სერ სიუკეზეი სცდება ამ დასკვნას რომ არდგენს. სულიერი გაორპირების მაგალითი, როგორც ზემოდ იყო აღწერილი, ვგონებთ, სულ ოთხი არ მოიძებნება ქვეყნიერებაზედ და ზნეობრივს გაორპირებას კი, კარგი უნდა, ოთხი გადარჩეს. მაშასადამე, ამ ორი მოვლენის ერთი ერთმანეთის დაპირდაპირება წინააღმდეგია სამეცნიერო მეთოდისა. Უფრო მარტივი ახსნა ნაბაბის მოქმედებისა შემდეგია: იგი სცდილობდა, რაც კი შეიძლება, მაღლა ასვლას ცხოვრების კიბეზედ. მიდრე ქვევით საფეხურებთან მოფუსფუსე წვრილ-ფეხობა საჭირო იყო, ზოგს თვალს უშვრებოდა, ზოგს ემმაკურად ეღიმებოდა, ზოგს ჰკოცნიდა, ზოგს ეხვეოდა; რაკი იქამდის მივიდა, სადაც წვრილ-ფეხობა ველარ შესწვდებოდა, დიდ ბობოლაებს სტაცა კალთაში ხელი, ჰკრა წიხლი წვრილ ფეხობას და თავისი სული მიანდო ძლიერთა ამა ქვეყნისათა...

Ეს არის ისტორია ზნეობრივის გაორპირებისა, რომელსაც კაცი მხოლოდ მაშინ გადურჩება, თუ პატარა ადამიანურის გრძნობის ნიშან-წყალს მოკლებული არ არის.

***

Თუ მკითხველი ნებას მოგვცემს, Ინდოეთის ნაბაბს თავი დავანებოთ და ყვირილის ნაბაბის მ. Ღამბაშიძის ამბავი მოვისმინოთ.

Წარსული საკვირაო ფელტონის ბოლოში ჩვენ დავბეჭდეთ რამოდენიმე განცხადება, რომელიც მკითხველმა საზოგადოებამ დიდის სიამოვნებით მიიღო. «მწყემსის» რედაქტორს შეშურებია ჩვენთვის დაფნის გვირგვინები და თითონაც ჩაუწერია თავის გაზეთის სათაურში რედაქციის იუმორიული განცხადება:

Ამ განცხადებაში ჯერ თავს მართლულობს ხელის მომწერლების წინაშე ნომრების დაკარგვისათვის, მერე უსაყვედურებს ზოგიერთა სასწავლებლების უფროსებს, რატომ «მწყემსის» №№-ებს შეგირდებს არ აძლევთ საკითხავადაო და ბოლოს ამბობს: „სოფლის უეზდის მაზრებში ხელის მომწერლებს უთუოდ უნდა ჰყავდესთ ერთი ვინმე პირი აჩენილი, რომ მიღებისათანავე «მწყემსის» №№-ები მიიღოს და მოთხოვნამდისინ ხელის-მომწერლებს შეუნახოს და სხვ.“ ამ განცხადების შემდეგ უნებურად უნდა ქუდი მოვიდრიკოთ და წარმოვსთქვათ „მწყემსის“ პატივცემული რედაქტორის წინაშე: «Აფერუმ! მ. Ღამბაშიძე, ჩვენ მაგისთანას ვერას მოვიგონებდით»! Ღვთის წინაშე ჩვენც-კი დავამშვენებთ ხოლმე ჩვენის გაზეთის ფურცლებს სხვა-და-სხვა ცოდვებით ქართულის ენის წინაშე, მაგრამ „სოფლის უეზდის მაზრებთან“ და «მიღებისათანავე მიღებასთან» ფას! რაც კი «Დროებას» თავის დაბადების დღიდამ შეცდომები ჩაუდენია.

Მართალია, ყვირილის ნაბაბი ურისხდება სასწავლებლების უფროსებს, რატომ «მწყემსის» ნომრებს თქვენს შეგირდებს არ აძლევთ საკითხავადაო, მაგრამ ჩვენ რომ სასწავლებლების უფროსი ვყოფილიყავით, ისევ მ. Ღამბაშიძის რისხვას ავიტანდით, და ბავშვებს კი «მწყემსს» ხელში მაინც არ მივცემდით, იმიტომ... იმიტომ, რომ თუ ქართული, ცოტაც არის მაინც იციან, «მწყემსის» ხელში ის ცოტაც სრულიად არ გადავიწყებოდათ.

***

ხუმრობა იქით იყოს და «მწყემსმა» ამ ბოლოს დროს წმინდა ოხუნჯური მიმართულება მიიღო. Ზემოხსენებულ შესანიშნავ განცხადების გარდა ორი ისეთი შენიშვნაა დაბეჭდილი უკანასკნელ №№-ში, რომ განსვენებული «ფალანგა» რომ ცოცხალი ყოფილიყო, შურით თვალები დაუდგებოდა.

Პირველ შენიშვნაში სურამელი მ---ლი მართლულობს თავს ერთის გამვლელის წინაშე, რომელმაც აძაგა მისდამი მინდობილი ეკლესიის წესები.

«კარგად ვასრულებთ ჩვენ მღვდელმოქმედებას, თუ ცუდად, ეს მრევლმა იცის კარგად. სანთლები თავის ადგილზე გვაქვს შენახული და არა პოლზე დაყრილი; იქნება ერთი ორი ნამწვი სანთელი ეგდო ძირს, მაგრამ ამისთანა შეცდომები სობოროებშიაც მოხდება ხოლმე. «ეკლესიაში ხალხი ცოტა იყო», ბრძანებს გამვლელი. ჩვენ თავის დროზე ვრეკავთ და, თუ არავინ მოდის, ძალით ხომ ვერავის მოვიყვანთ ეკლესიაში? ჩვენი რა ბრალია, რომ ეკლესიაში ხალხი არ მოდიოდეს?»

„მწყემსი“ № 17)
ოქტომ. 1-ს 1884.)

ვახუშტის ისტორია და გეოგრაფია სწორედ ამ გვარად იბეჭდება დღეს ჩვენის მსწავლულის რედაქტორობისაგან და იგი, რასაკვირველია, აკადემიურს შრომას შეადგენს გათავების შემდეგ და ნამდვილს და ძვირფას საგანძედ დარჩება ისტორიულს ლიტერატურაში.

ეს გარემოება გვაძლევს ღრმა რწმენას, რომ «ქართლის-ცხოვრებაც», თუ იგი მართლა დ. ბაქრაძის რედაქტორობით დაიბეჭდა, დიდი სიმდიდრე იქნება, რადგანაც მხოლოდ ამ გვარად დაბეჭდილის (ესე იგი გარკვეულის, შემოწმებულის და სხვა წყაროებთან შეთანხმებულის) მატიანეს შემდეგ შეიძლება დაიბადოს გონივრულად შედგენილი საქართველოს ისტორია.

== წიგნების ბეჭვდამ ჩვენში საკმაოდ წინ წაიწია და იმედი არის, შემდეგს წლებში კიდევ უმეტესის სიმრავლით დაიბეჭდებიან. მარტოკა წელს მომავალ 1 იანვრამდე ოც-და-ათამდე შესდგება დაბეჭდილ წიგნთა და თხზულებათა რიცხვი. ეს ფაქტი თავის თავად ლაპარაკობს და უკომენტარიოდაც ყველა დარწმუნდება, რომ ამ მხრით საქმემ ძალიან წინ წაიწია; მეტადრე, თუ წლევანდელს წელიწადს წარსულებს შევადარებთ, როდესაც სამი ოთხი წიგნი ძლივს გამოდიოდა და ისიც დიდის გაჭირვებით.

== „დროების“ წინა ნომრებში იყო გამოცხადებული, რომ ტფილისის მთავარ სამმართველოში წარდგენილი იყო კატალოგი იმ პიესებისა, რომელნიც დღემდის გამოსულან და უთამაშნიათ სცენაზედ ამ პიესების საერთოდ ნება დასართველად. ეხლა გვატყობინებენ, რომ ეს კატალოგი უკვე გარდმოუციათ ნება-დართული საცენზურო კომიტეტისათვის, რომელმაც უნდა დაურიგოს საქართველოს სხვა-და-სხვა მაზრის სამმართველოებში, რათა პოლიციას ჰქონდეს სახელმძღვანელოდ, თუ რა პიესები არიან ნება-დართულნი. კატალოგში ორას-ორმოც-და-ათ პიესამდინ არის მოხსენებული.

== ჩვენ არა-ერთხელ გაგვიგონია იმ მეტივეების საჩივარი, რომელთაც იაფი ფასის ტივები (შეშად) ჩამოაქვთ, იმაზედ: რომ ქალაქის გამგეობა ისეთსავე ხარჯს ართმევს, როგორც მასალისთვის ჩამოტანილს ტივებისათვის.

მართლადაც, რომ უსამართლობა უნდა იყოს ამ ორს სრულიად სხვა-და-სხვა გვარს და ფასის ტივებზედ თანაბარი ბაჟის დადება. მეტი არ იქნებოდა, რომ ქალაქის საბჭოს ამ საგნისთვის ყურადღება მიექცია, რათა საწვავი ტივების ჩამოტანა გაადვილებინა და მით ქალაქში შეშაც გაეიაფებინა.

## თეატრი.

გამოფენილი აფიშები გვიცხადებენ, რომ ქართული დრამატიული დასი დაარსდა ბ. ნებიერიძის ანტრეპრენიორობით.

დასს შეადგენენ თითქმის ყველა ძველი არტისტები, დამატებით ქალ. ბ. ავალიშვილისა, რომელსაც უკისრნია ქართული სცენის დახმარება, ვიდრე სხვა დრამატიული არტისტკა აღმოჩნდებოდეს. ჩვენის მოთამაშეთაგან ამ გვარი მსხვერპლი პირველი არ არის და, რამდენადაც ეს სანაქებო ჩვეულება დიდს ხანს დარჩება ჩვენს არტისტებსა და არტისტკებში, იმდენად მეტის მადლობის ღირსნი იქმნებიან.

ამის გარეშე ახლები არიან კიდევ: ქ. ყორჩიბაშოვისა და ხარიდანიძისა. ძველს აქტრისებ შორის ვკითხულობთ საფაროვის, ბაბუნიას, კორინთლის, მელიქოვის, მძინაროვის და ანტონოვსკის სახელს.

კაცები არიან: ბ.ბ. კ. ყიფიანი, ვ. აბაშიძე, კ. მესხი, აწყურელი, თომაშვილი, მაქსიმიძე და ახალი აქტიორები: მანუჩარიშვილი, პეტრიძე და ნაკაშიძე.

დანარჩენინ ძველი არტისტებიც, რომელნიც დასში სხვა-და-სხვა მიზეზების გამო ვერ შევიდენ, დაჰპირდენ ბ. ნებიერიძეს ყოველ-გვარი შემწეობა აღმოუჩინონ და მით ქართული სცენის წინ წაწევას ყოველ-გვარად ხელი შეუწყონ.

რეპერტუარში გამოცხადებულია სხვათა შორის შემდეგი სერიოზული პიესები: «ვაი ჭკუისაგან» კომ. გრიბაედოვისა, მასკარადი ლერმონტოვისა, მედეია, ჰამლეტი, ოტელო, ლირი, ვენეციელი ვაჭარი, მეირიმა, დალილა, სამშობლოს გმირნი და სხვა.

როგორცა ხედავთ, თუმცა ამ პიესებში არც ერთი ორიგინალური პიესა არ არის ნახსენები, მაგრამ მომეტებულნი მათგანნი ნამდვილად სერიოზულნი და მთელს დედა-მიწის ზურგზედ განთქმულნი არიან; მაგრამ არ შეგვიძლიან ახალ ანტრეპრენიორს ერთი შენიშვნა არ მივცეთ შესახებ გამოცხადებულის პიესებისა.

ჩვენის აზრით, ამდენის სერიოზულის პიესების მომზადება ერთს სეზონში მეტად საძნელო იქნება არტისტებისათვის და ისიც საკმარისი იქნება, რომ ამ ზამთარს ხსენებულის პიესებიდგან მხოლოდ რამდენიმე რიგიანად მოამზადონ და დანარჩენები შემდეგისათვის გადასდონ.

მაგრამ ასეა თუ ისე, როგორც რეპერტუარი, აგრეთვე გამოცხადებული არტისტების სახელი გვაიმედებს, რომ წელს რიგიანის წარმოდგენებით დავსტკბებით; დანარჩენს-კი შემდეგი დაგვანახვებს.

ბაქცილა თეათრიკა.

## პასუხად ბ. ბაბიჩვაძეს

დიდი სიამოვნებით ავუსრულებდით ბ. ბაბიჩვაძეს თხოვნას, მაგრამ სამწუხაროდ, ეს ყოვლად შეუძლებელია. იგი გვთხოვს ჩვენ უცნაურს რასმეს: ზოგიერთა ადგილები თქვენი «დედნისა» ხელ ახლად დაბეჭდვინეთ და გამომიგზავნეთო. არსად არ გაგონილა ამისთანა მოთხოვნილება. ვაქო, რა საჭიროა ცალკე ადგილების განსაკუთრებითი დაბეჭდვა, როცა დედანი გამოსულია, ისყიდება ერთი კვირაა და უკვე გავრცელდა არა მარტო ტფილისში, არამედ პროვინციებშიაც და თუ სადმე ჯერედ არ მიუხწევია, ამ დღეებში უნდა მიახწიოს. დასწერეთ მისი კრიტიკა, მკითხველები შე-

მეორე შენიშვნა: «ოსუთიდამ მღვდლის ლავრენტი წერეთლისაგან ჩვენ მივიღეთ შემდეგი წერილი:

„1883 წელსა, იანვრის 16 დღესა გარდამივყვანეს ახალ შრიხოდში. რასაკვირველია, პირველად უცხო ხალხის გაცნობა ძნელია. ერთი კვირის შემდეგ ეკლესიის სტაროსტას გამოვკითხე უოკელისფერი გარემოება და ჩვეულება ახალი სამრევლოისა; ვკითხე ამასთან, თუ ეკლესიის სანთელს როგორ ჰყიდდა. სტაროსტა ყოჩაღად მიგებდა პასუხს, როგორც მოგეხსენებათ ოსების ამბავი და კიდევაც იკვეხნიდა, რომ ჩემ წინამოადგილე მღვდელმა დაუტოვა მას სამახსოვროდ მისა ქებითი მოწმობა, თუ როგორ ემსახურა იგი ეკლესიას 13 წ. განმავლობაში. მეორე, თუ მესამე დღე იყო, სტაროსტამ მომიტანა ნახევარი ფურცელი ქაღალდი, ქართულ ენაზე დაწერილი. შიგ ეწერა: «მოწმობა ესე მიეცა მახრისკის წმიდის ნიკოლოზის ეკლესიის სტაროსტას დ. მ—ევს, მას შინა, რომელ იგი არის მლიერ ზარმაცი, კვირა-უქმ დღეებზე, თუმც კაცი არ გაუგზავნე, ეკლესიაზე არ მოდის და, თუ მოვიდა, გაი თქვენს მტერს; იმას ვუმასო, თუ ჩემი საქმე გაკეთო? ერთხელ მღვდელი ვერ სწორავს, რომ ამ სტაროსტამ არ შეაშლევინოს; უყვარს არაყით სავსე ყანწის დალევა, ეკლესიის სანთელს ნისიად აძლევს და ვინც წაიღებს, ისიც აღარ ახსოვს, ძნელია ამისთანა სტაროსტასთან ხამსახური“.

«მას შინა ვემოწმები ხელის მოწერითა ჩემითა და დასხმითა საეკლესიო ბეჭდისათა. იანვრის 13 დღესა 1883 წ.»

„მწყემსი“ № 17,
სექტ. 1-ს 1883.

ამ ორი ნიმუშის შემდეგ, ეთხოვ პატივცემულ საზოგადოებას მიაქციოს ყურადღება ქვემო განცხადებებსაც:


### განცხადებანი

ახლად მივიღე

თავადი ილია გრიგოლის ძეს ჭავჭავაძის

თხზულებები

(უკაცრავად! ღვინოები)

ყვარელიდგან: ბოთლი 15 კაპეიკიდგან 1 მანათამდე; თუნგი 60 კაპეიკიდგან 3 მანათამდე, სკლადი ველიამინოვის ქუჩაზედ, წინამძღვაროვის სახლებში.

(3—3) სოლომონ ივანიჩ კურდღელოვი

—

ვქებ ორ ოთახს

უჯუჯრუტანოს

«სკამნოი მეტერის» ასაცილებლად, სინათლე ერდოდამ უნდა ჩამოდიოდეს.

ი. გ.

ადრესი. დილის თერთმეტ საათზედ, გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში, თორმეტზედ დემუროვის ლიტოგრაფიაში, სხვა დროს ჩემს სადგურში, ფარესაშვილის სახლებში, ხევის ქუჩა, № 9.

(3—1)

—

!!!დავკარგე, დავეძებ და ვეღარ მიპოვნია!!!

ქართველთა ქალთა საქველ-მოქმედო საზოგადოება (წესდება სამინისტრო ქაღალდზედა მაქვს გადაწერილი). ამ საზოგადოების მომნახავს საპოვნელას მივცემ... საწევრო ბილეთს ამავე საზოგადოებისას.

ა. ჩ.

(10—2)

—

ალავერდი!

ჩემგან ახლად აღმოჩენილი საყურთო ბალახი, რომელსაც ცხენი და ვირი ძალიან ეტანება; იონჯაა.

ისყიდება ანჩისხატის უბანში.
(იხილე ვისრამიანის ლექსიკონი).

პ. უ.

(100—1)

—

აგრეთვე აღმოვაჩინე

ზირაქი,

მფრინველი დიდი ფრთხილი, რომელიც, შვილებს რო გამოჩეკს, გულს გაიპობს და შვილებს საზრდოდ აძლევს.

(იხილე იქვე).

პ. უ.

(10000—1)

—

ახალი საშუალება

ადვილად გამდიდრებისათვის!

ვურჩევთ გამდიდრების მსურველთ, თავიანთ უძრავი მამული ტფილისის ან ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკში ერთი-ორად დააგირაონ, ბანკს დაუტოვონ და ბანკისაგანვე ნახევარ ფასად თავის ცოლს ან შვილს შეასყიდვინონ.

ამ საგანზედ მოლაპარაკებისათვის მოვიწვევთ მსურველთ.

საიქიოს, ტარტაროზიანთ უბანში.

რჩევისათვის $10^0/_0$-ს ვჯერდები.

N

(10—1)

—

საბა სულხან-ორბელიანის ლექსიკონი

ერთისა და იმავე ღირსებისა, ერთისა და იმავე სისქე-სიგანე — სიგძისა, ისყიდება:

| | |
|---|---|
| გრიქუროვთან სამ მანათად, | სხვაგან ოთხ მანათად |

(3—1)

ადარებენ თქვენს მსჯელობას დედანთან, რომელი სტყუის, დედანი, თუ კრიტიკა. გარდა ამისა დედნის ზოგიერთა ადგილების გადატანას ერთი ქვიდგან მეორე ქვაზე, ქაღალდს, დაბეჭდვას კაი ხარჯი მოუნდება და რად უნდა გასწიოს ტყუილ—უბრალოდ ეს ხარჯი ბატ. ბაბიჩვაძემ. განა ფულები მას მოსჭარბებია? ამისთანა შეუსაბამო სურვილის მიზეზი აღელვებული მდგომარეობა უნდა იყოს, სხვა არაფერი. როცა ბ. ბაბიჩვაძე დამშვიდდება, თვითონვე აშკარად დაინახავს თავის უსაფუძვლობასა.

ბ. ბაბიჩვაძეს კრიტიკის დაწერამდის ველარ მოუთმენია და ახლავე აღმოუჩენია ჩვენის დედანში დიდი ვეებერთელა ნაკლულევანება: სხვა-დასხვა ხელის ნიმუშები დედნის დამატებაში ძველი ენით არიან დაწერილნიო. ახირებულია, თქვენმა-მზემ. ვაჟო, ძველს ხელთ-ნაწერებში მაშ რა ეშმაკი იქნება, თუ არ ძველი ენა. ჩვენ რომ ახალს ენაზედ გადმოგვეღო ეს ადგილები, მაშინ ხომ ძველი ჩინებული ხელის მაგივრად ჩვენი ხელი გამოვიდოდა? საზოგადოდ, ბატ. ბაბიჩვაძეს დედნის დამატების მნიშვნელობა სრულიად არ ესმის. შოითმინოს, დამშვიდდეს, «დაამსხვრიოს, ნაკუწ-ნაკუწად აქციოს» ჩვენი კრიტიკა, მერმე გაიცნოს დარიგება ჩვენი დედნის ხმარების შესახებ, გაარჩიოს თვით დედანი და თუ გვიჩვენებს იმისთანა ნაკლულევანებას, რომელიც აღნიშნულნი არ გვექნება, დიდს და გულწრფელს მადლობას ვუძღვნით...

იაკობ გოგებაშვილი.

# ტელეგრამები

(,,ჩრდილოეთის სააგენტოსი'')

სექტემბრის 6-ს

არხანგელსკი. სამასის წლის იუბილეის დღესასწაულობა დაიწყო პარაკლისით, რის შემდეგაც გაიხსნა გამოფენა; საბჭოში დღესასწაულებრივი სხდომა იყო და ამ სხდომაზედ წარმოითქვა ბევრი სიტყვები; წაიკითხეს მოსალოცი ტელეგრამები და მუსიკამ სახალხო საგალობელი დაუკრა; კლუბში დიდი სადილი იყო, ხოლო საღამოზედ დღესასწაულებრივი წარმოდგენა.

ბრიუსელი. გუშინ საღამოზედ, სასკოლე კანონის გამოცხადების გამო, უწესობა მოხდა; დიდ-ძალი ხალხი შეგროვილიყო და ქუჩებში დაიარებოდა, ყვიროდა და მარსელიეზას მღეროდა სამეფო სასახლისა და კატოლიკე გაზეთთა რედაქციების წინ. პოლიციამ დაფანტა მაშფოთარნი.

ბერლინი. დღეს იმპერატორი ვილჰელმი დიდ მანევრებზე წავიდა რეინზედ.

სექტემბრის 7

სკერნევიცი. ხელმწიფე იმპერატორი და ხელმწიფე იმპერატრიცა გუშინ დაბრუნდენ ნადირობიდამ საღამოს რვა საათზედ, რომლის შემდეგ სასახლეში სადილი იყო გამართული.

კიევი. გუშინ გაიხსნა ეპისკოპოსთა კრება თანადასწრებით უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორისა და თავმჯდომარეობით მიტროპოლიტის პლატონისა. კრებას პროგრამადა აქვს სასულიერო წოდების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესობა.

ოდესა. გუშინ გაიხსნა სამეურნეო-სამრეწველო გამოფენა, რომელიც სიმდიდრით და საგნების სხვა-და-სხვა გვარობით პირველი არის სამხრეთ-რუსეთში.

მარსელი. რაკი სიცხეები კიდევ დაიჭირა, ხოლერაც დაბრუნდა; გუშინ შვიდი სული მოკვდა ხოლერით.

ნეაპოლი. უკანასკნელ 24 საათში ხოლერით ავად გახდა 422; მოკვდა 188.

კაირი. ეგვიპტის სახელმწიფო ვალის გადახდა შეაჩერეს.

# ცნობანი

მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელდა-ხელ 1 სექტემბრიდამ 1 ოქტომბრამდე 1884 წ.

| | | | |
|---|---|---|---|
| გამომცხვარი პური რუსეთის ფქვილისა— | —1 | გირ. | 5 კ. |
| ქართულის ფქვილისა: პირველის ხარისხისა— | —1 | გ. | $2^1/_2$ |
| მეორისა— — | —1 | გ. | 2 კ. |
| იმავე ფქვილ. თონეში გამომცხვარი: | | | |
| პირველი ხარისხის | —1 | გ. | $4^1/_2$ |
| მეორისა— — | —1 | გ. | 3 კ. |
| მესამისა— — | —1 | გ. | $2^1/_2$ |
| ჯვარის-მამი პური: | | | |
| პირველი ხარის. ლავაში | 1 | გ. | $4^1/_2$ |
| მეორის ხარის. ლავაში | 1 | გ. | $3^1/_2$ |
| მესამისა — — | —1 | გ. | 3 კ. |
| ძროხის ხორცი: | | | |
| პირველის ხარისხისა | —1 | გ. | 7 კ. |
| მეორისა— — | —1 | გ. | 6 კ. |
| სუკი . . . | —1 | გ. | 14 კ. |
| ცხვრის ხორცი | —1 | გ. | 7 კ. |
| ღორის ხორცი: | | | |
| პირველის ხარისხისა | —1 | გ. | — კ. |
| მეორისა— — | —1 | გ. | — კ. |

რკინის გზა

თბილისიდამ ქუთაისისკენ მიდის
8 საათზედ და 31 წამ. დილით

თბილისიდამ მარტო ხაშურამდინ
3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.

თბილისიდამ ბაქოსკენ
10 საათზედ და 45 წამ. დილით.
(სამშაბათობით საჩქარო 10 ს. 58 წ. დამ.)

ქუთაისიდგან თბილისისკენ
12 საათზ. და 25 წამ. შუადღ. უკან.

ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ
5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.

ბათუმიდგან თბილისისკენ
8 საათ. დილით.

ფოთიდგან თბილისისკენ
8 საათ. და 45 წამ. დილით.

ფოთიდამ დ ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის
10 საათზედ და 25 წამ. ღამით.

მარტო ხაშურიდამ მომავალი თბილისში შემოდის
8 საათზედ დილით

ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში
2 საათ. და 30 წამ. შუადღის უკან.
(პარასკევობით საჩქარო 7 ს. 53 წ. დილ.)

# განცხადებანი


ვისრამიანი

და

განდეგილი

პოემა თ. ი. ჭავჭავაძისა

ისყიდება ,,წერა-კითხვის საზოგადოების'' კანცელარიაში, სადაც ჟურნალ ,,ივერიის'' რედაქციაა. (სიმონსონოვის ქუჩა, ნაზაროვის სახლი 1-ლი გიმნაზიის უკან.)

| | |
|---|---|
| ფასი ,,ვისრამიანისა'' | 1 მან. 50 კ. |
| გაგზავნით — — — | 1 მან. 70 კ. |
| ,,განდეგილისა'' — | ,, 15 კ. |
| გაგზავნით — — — — — | 20 კ. |

წიგნის მაღაზიებს ნაკლებად დაეთმობათ.

(10—9)

ინგლისის მაღაზია

Maison de confiance

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | მოსკოვის ჩაის |
|---|---|
| 1 მ. 10 კ. | 1 მ. 40 კ. |
| — — 1—20 | — — 1—60 |
| — — 1—40 | — — 1—80 |
| — — 1—60 | — — 2—,, |
| — — 1—80 | — 2 — 50 |
| საუკეთესო 2—,, | — 3 — ,, |

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეონკა, წინდები—კაცისა და ქალისა, ხელ-სახოცები, მაკინტოშის კალენკორი—სულ ყველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის.

(100—60)

უქალიერი ახალი მხატვრობით მომავალის სეზონისათვის მიღებული ბლომად და სხვა-და-სხვა გვარი საწყობში ოდესის ფაბრიკის.

მმების ტარნოპოლისა

ლორის-მელიქოვის (ფოსტის) ქუჩა, ზუბალოვის სახლი, სასულიერო სემინარიის პირ-და-პირ.

ფასი იგივე, რაც ფაბრიკაზედ 10 კაპეიკიდგან მოკიდებული.

(30—30)

დაიბეჭდენ და ისყიდებიან

თბილისის და ქუთაისის ყველა წიგნის მაღაზიებში

ქადაგებანი

იმერეთის ეპისკოპოზის გაბრიელისა,

თქმულნი 1860—76 წლებში, ტომი პირველი, გამოცემა მესამე,

ფასი მანათ-ნახევარი

თბილისიდგან ამ წიგნის დაბარება შეიძლება ასე: Въ Тифлисъ, въ Закавказскую книжную торговлю Зах. Петр. Грикурова. ქუთაისიდგან – იმერეთის ეპისკოპოზის კანცელარიიდგან.

(10—6)

არწრუნისეულ ქარვასლაში

სასახლის ქუჩაზედ, იძლევა ქირით მაღაზიები, სადგურები კანტორებისა, სავაჭრო სახლებისა და საწყობებისათვის. პირობების შეტყობა შეიძლება ქარვასლის კანტორაში.

(25—5)


Доз. ценз. Тифлисъ, 7 Сентября 1884 г. სტამბა არ. კალანდაძისა და ამხ. გამომცემელი გ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.